საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

№ 405 1918 წ. ოთხშაბათი. დეკემბრის 11. № 405

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ. რკინის გზაზე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

20
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანაინს სომხის ჯარი ზარბაზანს ესვრის. განჯის ტელეგრაფი საქართველოს დეპეშებს აბრკოლებს აქეთაც-იქითაც. ვილსონი პარიზს დეკემბრის 14 ჩავა. მოკავშირეთა კონფერენცია დროებით ზავის საბოლოოდ ჩამოსაგდებად გაიხსნება პარიზს დეკემბრის 16-ს.

დარია დივანოვა მეუღლე ეკატერინე იაგორის ასულით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი დედის და დედამთილის

შუშანა დივანოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, დეკემბრის 12-ს მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 10 ნახ. საათზე (ოქრომჭედლების ქ. 22) ლუსავორიჩის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. 2551

მშობლები დავით და მარიამი; ძმები ზაქარია და მიხეილი, და თამარ, რძლები ვარვარა და ალექსანდრა ორჯონიკიძეები, სიძე აბესალომ ლომიძე მეუღლე მარიამით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას

საყვარელ თალიკოსას

გამოსვენება დეკემბრის 11-ს, დილის 10 საათზე ვარდისუბნის ქუჩიდან სახლი № 46 ქვაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა ამავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2553

ალექსანდრე, ესტატე, გიორგი, იოსები და ილია პაატაშვილები, თამარ გლოლაშვილისა და ანა ასრაფილბეკოვისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. თელავში, ღვთისმშობლის ეკლესიაში ხუთშაბათს, დეკემბრის 12-ს, გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელის მამის

მიხეილ იოსების ძის პაატაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე 2554

განცხადება

სამხედრო სამინისტროს სააღმინისტრაციო განყოფილება ამით აცხადებს რომ ტფილისის სასურსათო და ნივთების საწყობიდან გაიყიდება ქვემოხსენებული სურსათ-სანოვაგე და ნივთები სამხედრო მინისტრის განკარგულებით დანიშნულ გენერალ-მაჭავარიანის კომისიის მიერ. მსურველთ სანოვაგის და ნივთების რაოდენობის ღირსების და ფასის შესახებ უნდა მიმართონ კომისიის თავმჯდომარეს გენერალ მაჭავარიანს სამხედრო სამინისტროს სააღმინისტრაციო განყოფილების სადგომში გასაყიდად ტფილისის სასურსათო საწყობიდან: გამხმარი ხილი, ძმარი, დაფნის ფოთოლი, გამხმარი ბოსტნეული, თევზი (ქაშაყ თევზი) კანიფოლი, გალეტები, ლორის ქონი, ხილის მაშარაბი და მახორკა. 2 სანივთო საწყობიდან: მოკლე ჩასაცმელი ტყავები, ახალი და ძველი მოთელილი ნალები, ნალის ლურსმანი, ნალის მოსაკიდებელი (შიპები) წაღების ზეთი, ჩარდახები, საზაფხულო და საზამთრო წვივსაკრავები, პოვოზკები, სხვა და სხვა ჯურის ძველი ბარგის საზიდი ურმები. ტანისამოსის ნაგლეჯები, ქეჩები და ურმების ღერძის გასაპონი. 4135

ყურადღება (თაგვების და ვირთაგვების ტიფი) სწორი და ნაცადი საშუალება თაგვების და ვირთაგვების გასაწყვეტად, სრულიად უვნებელი როგორც შინაური ცხოველების, ისე ხალხისთვის. იყიდება სასახლის ქ. ბაჯალოვის მაღაზიაში. 2557

ქართული სატეხნიკო საზოგადოების კრება შედგება დღეს, დეკემბრის 11-ს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11. განსახილველი საგანი: გამგეობის მოხსენება წლიური სამოქმედო პროგრამის შესახებ. 2556

განცხადება

სასტუმრო უნივერსალი, (გოლოვინის პროსპექტი № 6) განთავისუფლდა რეკვიზიციისგან, ახლად შეკეთდა და დაიწყებს მოქმედებას დეკემბრის თორმეტს. სასტუმროსთან იხსნება სასადილო სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები წმინდა ერბოზე. 2552

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ. დეკემბრის 11-ს გაიმართება

დიდი წარმოდგენა

დღეს შესრულებულ იქნება 20 საცირკო ნომერი. დღეს იბონიელები, დღეს სიკვდილის შვიდი კიბე, დღეს სიკვდილის ანძა, გამოსვლა ცნობილ ვლად. სლასტუშინსკისა, გამოსვლა გიმნასტის თომა ბართოლეზისა აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი.

ანონსი: შაბათს, დეკემბრის 14-ს, კინტო პეტრ. ლევინსკის ბენეფისი.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2558

1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—400 გვ.) ყოველ-თვიური სალიტერატურო-სამხატვრო, სამეცნიერო, საკოოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი:

„შვიდი მნათობი"

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კომპოზიტორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი.

გამომცემლობა ამიერ-კავკასიის კავშირისა. 1431.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს დანიშნულია საზოგადო კრება ზემოაღნიშნული საზოგადოებისა. 1426

არჩილ ჩხიკვაძემ

დაჰკარგა დეკემბრის 3 უვადო პასპორტი; რომელშიაც იყო უფასო ბილეთი ტფილისის ტრამვაისა — მპოვნელს ვთხოვ შემოიტანოს ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტთა კლუბში ლორის მელიქოვის ქ. № 1. გადაეცით გ. გამრეკელს. 1432

ტფილისი, დეკემბრის 11.

ეროვნულ უმცირესობათა როლი საქართველოში

„კავკაზსკოე სლოვო" ფრიად საყურადღებო საკითხს ეხება — ეროვნულ უმცირესობათა როლს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვიყავით და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ საქართველო, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, არასოდეს ეროვნულ უმცირესობათა დევნის ასპარეზად არ უნდა გადაიქცეს და ვერც გადაიქცევა. როგორი აზრისაც არ უნდა ვიყოთ ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური წრეების მოქმედების შესახებ, რაც უნდა უარჰყოფით არ ვეპყრობოდეთ მათს ხშირად ანტისახელმწიფოებრივსა და, მაშასადამე, ანტი დემოკრატიულ მოღვაწეობას, ჩვენ მაინც არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი, როგორც მასსა, არ შეიძლება პასუხისმგებლად ჩავსთვალოთ მათი ხელმძღვანელების შემცდარი ნაბიჯებისა. ჩვენ ეროვნულ უმცირესობათ მხოლოდ ერთს მოთხოვნას უყენებთ და ეს ჩვენი მოთხოვნა კატეგორიული ხასიათისაა: მათ უნდა იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა, წინააღმდეგიც რომ იყვნენ ამ დამოუკიდებლობისა, ვთხოულობთ ამას იმიტომ, რომ არ შეგვიძლიან საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის — ქართველი ხალხის — ინტერესი, რაიცა ამ შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში გამოიხატება, მსხვერპლად შევწიროთ ეროვნულ უმცირესობათა პრობლემატიურსა და საეჭვო ღირსების ინტერესებს. ამაზე შორს ჩვენი მოთხოვნა არ მიდის. საქართველოს შიგნით ჩვენ ასეთისავე კატეგორიული დაჟინებით მოვითხოვთ ისეთს პოლიტიკას, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა ყოველნაირი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული.

მაგრამ ამისდა-მიუხედავად, ჩვენ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ყოვლად შემცდარი აზრი „კავკაზსკოე სლოვო"-სი ეროვნულ უმცირესობათა როლის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში.

„კავკაზსკოე სლოვო"-ს ორი დებულება მოჰყავს: ერთი დადებითი ხასიათისაა, მეორე — უარჰყოფითი. ეროვნულ უმცირესობათ შეეძლოთ საქართველოს დამოუკიდებლობა დაერღვიათ, მაგრამ ეს არ მოისურვეს და ამით დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოსო. ეს პირველი დებულებაა. ეროვნული უმცირესობანი რომ მეამბოხეებად არ გადაიქცნენ, ამას „კავკაზსკოე სლოვო" მათ დიდს ღირსებად და პლიუსად უთვლის, ეროვნულ უმცირესობათა მეორე ღვაწლი იმაში გამოიხატა, რომ თავიანთი დადებითი მუშაობით ხელი შეუწყეს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქვს საქართველოს ყველა ეროვნული უმცირესობა ერთს ტაფაში მოვაქციოთ, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ „კავკაზსკოე სლოვო"ს არც ერთი და არც მეორე დებულება სინამდვილეს არ შეეფერება.

ამბოხებათა მოხდენის დროს ნათლადა სჩანდა, რომ ამბოხებანი განსაკუთრებით იმ ადგილებში იკიდებდა ფეხს, სადაც ეროვნულ უმცირესობათა ერთგვარი უკმაყოფილების გაღიზიანება შესაძლებელი ჰხდებოდა. დუშეთის აჯანყების დროს სახალხო გვარდია არა ერთსა და ორს სომეხსა და რუს პროპაგანდისტს წააწყდა მაზრაში, ამასთანავე ერთად ისეთს პროპაგანდისტს, რომელთაც პირველად უხდებოდათ ყოფნა და მოქმედება ამ რაიონში, ყველამ ძალიან კარგად იცის, რა ედო სარჩულად ცხინვალის აჯანყებას და როგორ ჰსურდათ ესარგებლათ ოსების ბოლშევიკური სულიერი განწყობილება ზოგიერთს ისეთს ელემენტს, რომელსაც არსებითად ბოლშევიზმთან არაფერი საერთო არა აქვს.

უეჭველია ბევრს რამეს საყურადღებოს აღმოაჩენს ძეგვის ხიდის ამბების ისტორიაც. ეს პროცესი ალბად შუქს მოჰფენს ზოგიერთი წრეების მუხანათურ მოღვაწეობას. დღესაც, თუ საქართველოს მთავრობის სააღმშენებლო მუშაობას წინ ათასნაირი დაბრკოლება ეღობება, ამის სათავე უნდა მოვსძებნოთ იმ ელემენტებში, რომელთაც პრინციპიალურადაც კი არა ჰსურთ შეურიგდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

საქართველოს მთავრობამ, მართალია, მოახერხა და სძლია ანარქია, მაგრამ სძლია მხოლოდ თავისი საკუთარის ძალღონით და სძლია წინააღმდეგ იმ ელემენტების სურვილისა, რომლებიც ასპარეზს ანარქისტული გამოსვლებისთვის უმთავრესად ეროვნულ უმცირესობათა შორის ჰპოებდნენ.

დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის თავზე, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ვერც ცხინვალის ავანტიურამ, ვერც სომხის საზოგადოების ერთი ნაწილის კავშირმა ბოლშევიკებთან, რომელიც, რასაკვირველია, იდეური ნათესაობით არ შეიძლება აიხსნას, თავის მიზანს ვერ მიაღწია და ჩვენმა მტრებმა ეროვნული უმცირესობანი ვერ გამოიყენეს საქართველოს საწინააღმდეგო ძალად. მაგრამ ამის ცდა რომ ხშირად იყო, ამის დანახვა მხოლოდ ბრმას არ შეუძლიან. თუ დღეს „კავკაზსკოე სლოვო" წინააღმდეგს ამტკიცებს, ეს ალბათ, იმით აიხსნება, რომ მას ჰსურს დავიწყების სუდარა გადააფაროს იმ შავ-ბნელ მუშაობას, რომელსაც ეროვნულ უმცირესობათა სახელით აწარმოებდნენ ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები და პოლიტიკური ავანტიურისტები. ჩვენ არ გვინდა ბოროტება დიდ-ხანს დავიხსომოთ. ჩვენც სიამოვნებით დავიწყებას მივსცემთ წარსული დროის ყოველნაირ შეცოდებას ჩვენი მტრებისას, თუ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ხაზი მათი მოქმედებისა შეიცვლება და დადგება დრო საქართველოს ყველა ერთა ძმური თანამშრომლობისა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივობის განსამტკიცებლად სამოქალაქო თავისუფლებათა ნიადაგზე

რუსეთის გაერთიანება, როგორც რეაქცია

ყოველის მხრიდან გვესმის ხან რჩევის ხან მუქარის სახით: რუსეთი კვლავ უნდა გაერთიანდეს და საქართველოც კვლავ რუსეთის განუყოფელ ნაწილად იქცესო. ერთის მხრით დენიკინის გარშემო შეკავშირებული ყოველნაირი ჯურის რეაქციონერები, მეორეს მხრით ვითომდა სოციალისტები მხოლოდ რუსეთის გაერთიანებაზე ლაპარაკობენ და უკვე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რა საფუძველზე შეიძლება მოხდეს ეს გაერთიანება ან ერის რომელ საზოგადოებრივ, სოციალურ ჯგუფს უნდა დაემყაროს გაერთიანებული რუსეთი, ამ საკითხის გამორკვევას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დენიკინის გარშემო შეკავშირებული ელემენტების სულის კვეთება უკვე საბოლოოდ გამორკვეულია. მათ ჰსურთ არა მარტო რუსეთის გაერთიანება, არამედ ძველი წეს-წყობილების აღდგენაც. დენიკინმა ერთს თავის საპროგრამო სიტყვაში, რომელსაც სიამოვნებით შეჰხვდნენ რუსის კადეტები და რომლის პოპულიარიზაციასაც ასე ძალიანა ცდილობს ტფილისელი „სოციალისტური" გაზეთი „დელო ნაროდა", — ერთს ასეთს საპროგრამო სიტყვაში კატეგორიულად უარჰყო რუსეთის პირველი დამფუძნებელი კრება, როგორც საფუძველი რუსეთის გაერთიანებისა. სჩანს, რუსეთის რეაქციონური წრეების სიმპატიები უფრო მარჯვენით იხრება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც შესაძლებლად მიაჩნდათ მთავარ სარდლობა ნიკოლოზ ნიკოლოზისძისთვის მიეცათ, ცხადი გაჰხდებოდა ჩვენთვის, საითკენ არის მიმართული მათი განზრახვა. მართალია ეხლა რუსეთის მომავალი წეს-წყობილების შესახებ არაფერს ამბობენ, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს მომავალშიაც არაფერს იტყვიან. ბოლშევიკურს რუსეთსა და დენიკინს შორის ისეთი ღრმა უფსკრულია გათხრილი, რომ ყოველი პოლიტიკური მოღვაწე ერთბაშად მთელ თავის გეგმას არ გადაშლიდა. დენიკინის წინაშე ჯერ-ჯერობით ერთი მიზანია დასახული, მოსპობა იმ უფსკრულისა, რომელიც რუსეთის ზომიერ ელემენტებსა და ბოლშევიკურად განწყობილი რუსის ხალხს შორის გაითხარა. რა წამს ეს უფსკრული აივსება და რეაქციონერები მოსპობენ ბოლშევიკებს, მაშინათვე ახალი პერსპექტივები გადაეშლებათ რეაქციონერებს და ძველი წეს-წყობილების აღდგენა, მონარქიის რესტავრაცია მორიგ საკითხად გადაიქცევა. ამის დანახვა არა ჰსურთ სრულიად განზრახ იმ „სოციალისტებს", რომლებიც გვირჩევენ ისევ რუსეთს დაუბრუნდით, რუსეთის ფარგლებში ბედნიერებას ეღირსებითო.

ჩვენთვის უდავო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, რომ რუსეთის მომავალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება იქნება მონარქია. თუ მოკავშირეთა მიზანი განხორციელდა და გაერთიანებული რუსეთის ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდა იმ ელემენტებს, რომლებიც დღეს დენიკინის გარშემო ჯგუფდებიან, ჩვენ მოწმენი გავხდებით რუსეთის რესტავრაციისა მონარქიის საფუძვლებზე. ვისაც არ დაჰკარგვია უნარი ისტორიული პერსპექტივის წარმოდგენისა, ის ფრთხილად მოეკიდება ამ შესაძლებლობას და ერს ახალი მონობის განსაცდელში არ ჩააგდებს. ჩვენ ვიცით, რასაცა ნიშნავს მონარქიის აღდგენა თუნდათ მონარქის ძალიან შეზღუდულის უფლებებით. ეს უპირველესად ყოვლისა იქნება ცეცხლითა და მახვილით დამორჩილება რუსეთის მონობისაგან განთავისუფლებული ერებისა. ეს იქნება უფრო დიდის სისასტიკით გაძლიერება არა რუსთა დევნისა და შევიწროვებისა. ეს იქნება ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა იმ პირობებისა, რომლებმაც კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის, შესაძლებელი გახადეს თავისუფალი კულტურული და ეროვნული განვითარება. ეს იქნება საქართველოს დემოკრატიისა და დემოკრატიული წეს-წყობილების მოსპობა. რეაქციონერების წყალობით ჩვენი ქვეყანა ისევ შავი, ბნელი ძალების სათარეშო მოედნათ გადაიქცევა. დაგვიხურავენ სკოლებს, უნივერსიტეტს, მოგვისპობენ ერობას, დემოკრატიულ თვითმმართველობებს, საშინელის სიმძაფრით გააძლიერებენ გადმოსახლების პოლიტიკას, სასამართლოში გაამეფებენ ისევ მცხოვრებთათვის გაუგებარ ენას, ადმინისტრაციას შემოიღებენ თავისებურს, ერთის სიტყვით, მოხდება ულმობელი და სასტიკი ლიკვიდაცია ყველაფრის იმისა, რასაც ესოდენი მსხვე-

რბლი შეეწირა. ჩვენ რუსეთში, რეაქციონერების გამარჯვების შემდეგ, არ მოგვეძებნება არც ერთი ისეთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც უნდოდეს ან შეეძლოს წინ აღუდგეს ძველი ვაკხანალიის გამეფების ტენდენციას. დენიკინიდან დაწყებული უკანასკნელ „სოციალისტამდე" ერთნაირად ფიქრობს. ტფილისელი რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და დენიკინის მთელი სახელმწიფოებრივი პროგრამა ერთნაირია, იგი არის პროგრამა ქართველების დევნისა, ჩვენი თვით-გამორკვევის შეზღუდვისა, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისა. უკანასკნელი ხნის საქციელი რუსის სოციალისტებისა ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. ინგლისელების მოახლოვების იმედით მათ ისეთისავე ენით დაილაპაკეს, რანაირადაც უწინ რუსის ჟანდარმები ლაპარაკობდნენ ხოლმე. თვით რუსის ხალხისა და ჩვენდა საუბედუროდ რუსის პოლიტიკურ წრეებს ამაზე მეტი სახელმწიფოებრივი შეგნება არა აქვთ მათთვის სახელმწიფოებრივი სააღმშენებლო მუშაობა მხოლოდ რუსის მოდგმის მოხელეების დანიშვნაში გამოიხატება. არც ბიუროკრატია უწევდა ანგარიშს საქართველოსა და ქართველ ხალხს, არც რუსის სოციალისტები უწევენ. ორივენი ერთი ცომით არიან გამომცხვარნი. ამიტომ არავის უნდა გაუკვირდეს, თუ საქართველომ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა რუსის რეაქციონერების განზრახვას. საკმარისია დენიკინმა ცალი თვალით გადმოიხედოს ჩვენსკენ, საკმარისია ოდნავ მაინც შეეცადოს საქართველოს ძალით დაპყრობას, რომ მთელი ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგეს და საშინელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოს მის რეაქციონურ განზრახვებს.

არ ვიცი ხუმრობით, თუ სერიოზულად იმასაც გვიმტკიცებენ ზოგიერთები, რუსეთი ფედერატიულ ნიადაგზე უნდა გაერთიანდესო. ჯერ ჯერობით რუსეთში ამ იდეას ფეხი არ მოუკიდია და უკვე ისმის პროტესტები იმის წინააღმდეგ: ფედერაცია ნიშნავს თანასწორ სახელმწიფოთა კავშირს და რუსეთი ამას ვერასოდეს ვერ დასთანხმდებაო. ჩვენ გვგონია, რომ მომავალი სწორედ იმას დაგვიმტკიცებს, რომ რუსეთში ვერასოდეს ვერ განხორციელდება ფედერაცია. ვერ განხორციელდება იმიტომ, რომ მთელი რუსეთი მოშხამულია მპყრობელობითი ქინით. ამიერკავკასიის მაგალითი ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა. მოიგონეთ, რანაირის სასტიკს წინააღმდეგობას უწევენ აქაური რუსები, არა ეგრედ წოდებული „ობივატელები", რომელთაც არაფერი მოეთხოვებათ, არამედ პოლიტიკური წრეები საქართველოს ნაციონალიზაზიას. მათის წარმოდგენით, ფედერაცია არის ისეთი ფორმა სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება, რომელშიაც ყველგან და ყოველთვის ისევ რუსული ელემენტი უნდა იყოს გაბატონებული. მათ ჯერაც ვერ შეუგნიათ ის უბრალო, სრულიად ანბანური ჭეშმარიტება, რომ ფედერატიულ წესწყობილებაშიაც კი საქართველოში სკოლაც ქართული უნდა იყოს, სასამართლოც, ადმინისტრაციაც და კანონმდებლობაც. ფედერაციის იდეის მატარებელთ რომ მართლა სწამდეთ ძალა ფედერალისტური იდეებისა, ერთს წუთსაც წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ საქართველოს ცხოვრების გარდაქმნას ახალს, ეროვნულს საფუძველზე. მაგრამ მათი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ისინი ისეთივე ფედერალისტები არიან, რანაირიც სოციალისტები და დემოკრატები. რა ფედერაციაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ხალხთან, რომელიც მუქარას გვითვლის, თუ ისე არ გამოერკვევი, როგორც ჩვენ გვინდა, ზურგიდან ბოლს აგადენთო!.

თვით მთელი წარსული ისტორიული მაგალითებითაც შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეები ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან ეროვნებათა თვითგამორკვევას, რაც უნდა ზომიერ ფარგლებში ჰხდებოდეს ეს თვითგამორკვევა. პირველ ხანებში შესაძლებელია ერთგვარ დათმობის გზას დაადგნენ, მაგრამ მომავალში, როდესაც ზურგს მოიმაგრებენ, ყოველი წვრილმანი სადავო გაჰხდება და ყოველი მცირედი გამოხატულებაც კი ეროვნული თავისუფლებისა საშინელი დევნის საგნად გადაიქცევა. მით უფრო, რომ რუსეთის მომავალი რეაქციის გზას ვერ ასცდება.

ყველა ამის შემდეგ ჩვენ მხოლოდ ერთი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ: რუსეთის გაერთიანებას ძველს საზღვრებში მოაქვს რეაქცია ყველა იმ ერთათვის, რომელნიც კვლავ ამ საზღვრებში მოექცევა. ფინლანდია, პოლონეთი, საქართველო და სხვა კუთხეები თუ კვლავ რუსეთს დაუბრუნდა, ეს იქნება დასაწყისი ერთის მხრით საშინელი რეაქციისა ამ ქვეყნებისა, მეორეს მხრით დასაწყისი გაუთავებელი ბრძოლისა რუსეთის წინააღმდეგ. ისეთი კუთხეები, როგორიც არის პოლონეთი, ფინლანდია და საქართველო ვეღარასოდეს ვერ შეურიგდებიან რუსეთის გაბატონებას.

თვალყურს ვადევნებთ რუსეთის ყოფილ უზარმაზარ სივრცეს და ვერსად ვპოულობთ ისეთს პოლიტიკურს ჯგუფს, რომელიც ზოოლოგიურის სიძულვილით არ იყოს გაჟღენთილი ყველა არა რუსისადმი. გვესმის მხოლოდ კბილთა ღრჭენა, გვესმის მუქარა, გვესმის შავრაზმული აგიტაცია და ყიჟინა შურისძიებისა. მაგრამ არსად არ გვესმის საღი მოწოდება, კეთილშობილური, ადამიანური აღიარება ჩვენი უფლებებისა.

ვინც ასეთს პირობებში საქართველოს გაბედნიერებას რუსეთის გაერთიანებით აპირებს, იმას გონება დაჰკარგვია. და თუ ასეთს გონება დაკარგულებს ჰგონიათ, რომ ჩვენც დაგვიკარგავენ გონებას, ძალიანა სცდებიან.

რუსეთი განთავისუფლებულ ერთათვის და მათ შორის საქართველოსთვის ცომი სამარეა. ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენის ნებით ამ სამარეში არ ჩავწვებით და ვერც ჩავწვებით...

ბოლშევიკური რღვევა-ნგრევისაგან სეპარაციით დავიხსენით თავი, რეაქციონური გაერთიანებისაგანაც სეპარაციით უნდა დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა.

გ. ხარული.

ახალქალაქის საკითხისათვის

„ამხატავორი" (№ 22) მეთაურ წერილს უძღვნის ამ საკითხს.

წერილის უახლოეს საბაბად გამხდარა „Борьба"-ს (№ 28) სიხარული იმის გამო, რომ ახალქალაქის და ახალციხის მაზრები „დაუბრუნდა და შემოუერთდა საქართველოს".

„ჩვენ ვფიქრობთ, ამბობს გაზეთი რომ სოც.-დემ. მამულიშვილური სიხარული უნდა ეხებოდეს მხოლოდ ახალციხეს. ხოლო ახალქალაქის ქართველი ჯარების მიერ „აღების" საკითხი ქართველი მენშევიკებისათვის უკეთეს შემთხვევაში ღია, გადაუჭრელ საკითხად უნდა დარჩეს.

ის „სადავო" საკითხად მაინც უნდა ითვლებოდეს მათ მიერ, რადგან ახალქალაქის შესახებ გაცილებით უფრო საფუძვლიანი და უდავო პრეტენზიები აქვს სომხეთსაც".

და მხოლოდ სოც.-დემ. მიერ აღიარებულ და საქვეყნოდ გამოცხადებულ ერთა თვითგამორკვევის, რეფერენდუმის და ეთნიური პრინციპების დავიწყების წყალობითაა, რომ ისინი „საწდაოდ" აცხადებენ ახალქალაქს.

„ქართველი მენშევიკები ოსმალურ-გერმანულ გამარჯვებულ იმპერიალიზმის მფარველობით ფრთებ გაშლილი წერეთლების და რამიშვილების პირით საქართველოს უდავო ტერიტორიად „აცხადებენ არა მარტო ბორჩალოს ლორეს და ახალქალაქს, არამედ მათ უფრო დიდი დამპყრობლობითი და იმპერიალისტური მადა აუშალდათ ყაზახისა და გოგჩისადმი.

„ინტერნაციონალისტად" ნაფიც ანტიიმპერიალისტად და ერთა თვითგამორკვევის რწმუნებულად ცნობილ... წერეთლის პირით საქართველოს „დემოკრატიულმა" რესპუბლიკამ მაისში გამოაცხადა რომ დევნილ სომხების თვით დაცვის ინტერესებისათვის და... დედაქალაქის (ტფილისის) უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ისტორიულ (ხაზი „ამხატ."), დიდ საქართველოს" აღდგენა რომლის საზღვრებიც უნდა უწევდეს ყაზახამდე, გოქჩამდე და გუმბრის კარამდე..

ერთი წლის წინად მენშევიკები ლორესა, და ბორჩალოს უდავო, ხოლო ახალქალაქს სადავო სომხეთის ტერიტორიად თვლიდნენ, ნახევარი წლის წინად ქართულ-გერმანულ იმპერიალიზმის გამარჯვებით აღფრთოვანებული, „ინტერნაციონალისტი" მენშევიკებს მთელ ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის დაპყრობა ნებავდათ, დღეს კი უკვე ფაქტიურად „დაიპყრეს და საქართველოს რესპუბლიკას შეუერთეს ლორი და ახალქალაქი"

შემდეგ გაზეთი უსაყვედურებს ქართ. სოც.-დემ. მის დემოკრატიულ პრინციპების ღალატს და აღნიშნავს რომ ერთა თვითგამორკვევის საკითხი იარაღით და ძალით არ უნდა წყდებოდესო და მერე განაგრძობს.

„მუდამ ერთგული დემოკრატიული პრინციპებისა ჩვენ ვაცხადებთ რომ 1) საზოგადოდ ერთა თვითგამორკვევის ყოველი სადავო საკითხი უნდა სწყდებოდეს მოსახლეობის თავისუფალი ნების თავისუფლად გამოცხადების გზით რეფერენდუმით—და ეთნიურ პრინციპის თანახმად, 2) კერძოდ საკითხები ლორისა, ბორჩალოს ნაწილისა და ახალქალაქისა, რომელნიც სომხეთს თავის უდავო ტერიტორიად მიაჩნია, აგრეთვე მხოლოდ ამ ადგილების მცხოვრებთა თავისუფალ თვითგამორკვევას უნდა მივანდოთ.

ამასაც მოითხოვს როგორც ორივე სახელმწიფოს ინტერესები, აგრეთვე ზოგთათვის „სადავო" საკითხების რაციონალური და დადებითი გადაჭრა".

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: იუსტიციის მინისტრს მიენდოს შემუშავება კანონპროექტისა მოხელეთა საგანგებო სამართალში მიცემის შესახებ—მექრთამეობისა, და საერთო სამსახურის დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის.

—

ნება მიეცეთ ქ. ტფილისის შეშის საწყობების პატრონებს, შეშის ტფილისში რკინის გზით ჩამოტანისა და გაყიდვისათვის.

—

სახელმწიფო ხაზინიდან სამღვდელოებისათვის შემწეობის აღმოსაჩენად საკათედრო ტაძრებისა და საკათალიკოსო დაწესებულებათა შესანახად მომავალ წლის პირველ იანვრამდე 1891975 მანეთი გადაიდოს.

—

მთავრობის ნოემბრის 28-ს სხდომის ჟურნალში: მუხლი 5, ლიტ. ა, სადაც დადგენილებაა ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საჭიროებისათვის 500,000 მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ, წაშლილ იქმნას სიტყვები: „იმ თანხიდან, რომელიც მის განკარგულებაში იყო გადადებული მრეწველობის დასახმარებლად და მათ მაგიერ ჩაიწეროს „ათ მილიონიან ფონდიდან".

უკანასკნელი ცნობები

ახალციხეში.

ახალციხიდან ჰაიდარ აბაშიძე შემდეგს იწერება: ქართველ მუსულმანების სულიერი განწყობილება ძლიერ კარგია. დიდებითად იხსენიებენ საქართველოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხალხში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ ყველაფრის გაკეთება შეიძლება, თუ ეშმაკები არ შეუჩნდნენ კიდევ.

ხანაინში.

სადგურ ხანაინის უფროსი გზათა სამინისტროს დეპეშით შემდეგს აცნობებს: მტერი (სომხები) სადგურ ხანაინს და მის კლდეებს ყუმბარებს უშენს ოსმალთა მატარებლების დამსხვრევის მიზნით კლდეებიდან დიდი ქვები გორდება და გზას ანადგურებს. ამიტომ გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა გამოიგზავნოს ორი ორთქმავალი და კომანდა მატარებლის გამოსაყვანად.

განჯაში.

გზათა სამინისტრომ რკინის გზის უფროსისგან შემდეგი ტელეფონოგრამა მიიღო: განჯის სადგურმა სრულიად შესწყვიტა საქართველოს რკინის გზათა გამგეობის დეპეშების მიღება. ხელში ჩაიგდო პირდაპირი მავთული და ნებას არ გვაძლევს ამ მავთულით სარგებლობისას რათა დროით გადავსცეთ სასწრაფო დეპეშები. თუმცა ბაქოსთან მატარებელთა მოძრაობა სწარმოებს, მაგრამ განჯის სადგური ხელის შეშლას სცდილობს და პირდაპირ მავთულს განსაკუთრებულად ინახავს, რის გამოც ჩვენს გამგეობაში გადმოსაცემი კორესპონდენცია კვირაობით აწყვია. გთხოვთ მიიღოთ ზომები აზერბეიჯანთან ნორმალურ ტელეგრაფის აღსადგენად.

მესხეთ-ჯავახეთი.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ძველი საქართველოს ცენტრიდან თქვენ და მთელ საქართველოს მოგილოცავთ მესხეთის და ჯავახეთის სისხლის დაუღვრელად შემოერთებას რაც მოხდა საქართველოს მთავრობის სიბრძნისა და კაცთმოყვარეობით. მთელ გზაზე ახალციხემდე მცხოვრებნი აღფრთოვანებით ესალმებოდა ჯარს. გისურვებთ სიცოცხლეს და გამარჯვებას მრავალ ჟამიერ. გენ. მაზნიაშვილი".

ჟანდარმების „თვითგამორკვევა"

ხელში ჩაგვივარდა ბაქოს სოციალისტ-რევოლიუციონერების გაზეთი „ზნამია ტრუდა"-ს მე-141 ნომერი. არ შეგვიძლიან ცოტა დიდხანს არ შევჩერდეთ ერთს საშინელ შოვინისტურ წერილზე, რომელიც ამ გაზეთში არის დაბეჭდილი. ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ ჩვენში დარჩენილი რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერები პირ-წავარდნილი იმპერიალისტები არიან, რომ მათ რევოლიუციონური ფრაზეოლოგია და მაღალი, წმინდა პრინციპები ერთა თვითგამორკვევის შესახებ მხოლოდ იმიტომა აქვთ აკერებული ზურგზე, რომ შეცდომაში შეიყვანონ ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა მათი გულწრფელობა. ზემოხსენებულ წერილში, რომელსაც სახელად „თვითგამორკვევა" ჰქვიან და რომელშიაც თვით ეს სიტყვა ბრჭყალებშია ჩასმული, ალბად, იმის დასამტკიცებლად, რომ დადგა დრო, როდესაც ეს თვითგამორკვევა შეიძლება თავზე გადმოგვაფხრიწონ, ისეთი ცინიკური გულახდილობით არის გადაშლილი ჟანდარმული იმპერიალიზმი, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ.

მკითხველებს ალბად ახსოვთ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად გაზეთ „გრუზია"-ში დაიბეჭდა ცნობა, საფრანგეთმა და ინგლისმა პრინციპიალურად იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობაო. საიდან მიიღო ასეთი ცნობა „გრუზია"-მ არ ვიცით, მაგრამ ბაქოელ სოციალისტ-რევოლიუციონერებს კი ელდა სცემიათ. მათ ერთბაშად მტრული კილოთი დაიწყეს ლაპარაკი და აღარა ცდილობენ პირ-მოთნეობით გაიტანონ ლელო. მათ ნიღაბი ჩამოიხსნეს და პირდაპირ განაცხადეს, რუსის ხალხისთვის საზარალოა საქართველოს განთავისუფლება და ამიტომ მოკავშირეებს უფლება არა აქვთ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნონო. წერილი ისეთი ჟანდარმული ცინიზმითა და ნამდვილი რუსული პოლიციური დერჟიმორდის კილოთია დაწერილი, რომ არ შეგვიძლიან ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები ცოტა ვრცლად არ მოვიყვანოთ.

„მერე საკითხავია,—სწერს ვინმე რვ;—რუსეთი, რუსის ხალხი აქ არაფერს შუაშია? უიმისოდ შეიძლება გადასწყდეს საკითხი, რომელშიაც ასე ძალიან არის დაინტერესებული იგი? ან ამ შემთხვევაში შეთანხმების სახელმწიფოებს შეუძლიანთ დაემსგავსონ იმ თურქებსა და თათრებს, რომლებიც რუსულ ბოლშევიკების მხოლოდ იმ ლოზუნგებსა ჰკიდებენ ხელს, რომლებიც მათთვის სასარგებლოა და სხვა ლოზუნგებს, მთელ ბოლშევიკურ „პროგრამასა" და თვით ბოლშევიკებსაც უარჰყოფენ? ან რუსის ხალხი იმდენად დაეცა, რომ მას ანგარიშს აღარ უწევენ, უყურადღებოდა სტოვებენ?" ამის შემდეგ ავტორი ცდილობს დაუმტკიცოს მოკავშირეებს, რომ რუსის ხალხი ჯერ არ მომკვდარა, რომ იგი კვლავ აღსდგება და ანგარიშს მოსთხოვს იმას, ვინც რუსეთის სხეულის დამგლიჯას.

ჩვენ ზემოდმოყვანილს შეკითხვაზე შეკითხვითვე შეგვიძლიან ვუპასუხოთ. ქართველი ხალხი, საქართველო ნუ თუ ახალი ჯურის სოციალ-იმპერიალისტებს იმ გემრიელ ლუკმად მიაჩნიათ, რომელიც კვლავ რუსის იმპერიალისტებისა და რუსის შოვინისტ-მოხელეების კერძად უნდა გადაიქცეს? ჩვენ რუსეთთან და რუსის ხალხთან არაფერი სადავო არა გვაქვს. ჩვენ ერთი არშინი რუსეთის ტერიტორიისა არ გვინდა. მაგრამ რას ეუბნებიან თავის სოციალისტურ სინიდისს ის ვაჟ-ბატონები, რომელთაც თავიანთ დევიზად დაუსახავთ „ბრძოლაში ჰპოვებ უფლებასა შენსაო" და ქართველ ხალხს კი მუქარას უთვლიან, თუ მე არ ჩაგყლაპე და თავზე არ დაგაჯექი, თუ მე კვლავინდებურად უსინიდისოთ სისხლი არა გწოვე, თუ შენი მატიოსანი შრომით რუსის მოხელეები არ გავასუქე, თუ ქართველი ხალხის ნაოფლარი რუსის ჟანდარმებს არ შევაჭამე, თუ ქართველი გლეხ-კაცისთვის გამზადებული მიწა რუსის გადმოსახლებულებს არ დავურიგე, საშინელი უსამართლობა მოჰხდებაო? ნუ თუ გაზეთს ჰგონია, რომ ზემოდ მოყვანილ სიტყვებში ერთი ნატამალი მაინც სოციალისტობისა და თუნდაც უბრალო დემოკრატიული რიგიანობისა არის? არა! როდესაც გვეუბნებიან, საქართველო უნდა გაისრისოს იმიტომ, რომ ამას რუსის ხალხის ინტერესი მოითხოვსო, ჩვენ თამამად შევძახებთ: მიჰქარავთ, ძალიან მიჰქარავთ! თქვენ სოციალისტები კი არა, უსინიდისო სისხლის მსმელები ხართ! თქვენ რუსის ნაციონალისტები და შოვინისტები ბრძანდებით! თქვენ მოციქულები ხართ ჟანდარმებისა და დერჟიმორდებისა, რომელთაც მხოლოდ თავიანთი ინტერესი სწამთ და სხვა არაფერი. ჩვენ თამამად და პირდაპირ მოვახსენებთ ბაქოელ სოციალისტ-რევოლიუციონერებს და მათ ტფილისელ ამხანაგებს. რომ, რასაკვირველია, რუსეთი და რუსის ხალხი არაფერს შუაშია იქ, სადაც საქართველო და ქართველი ხალხი თავის თავისუფალ ცხოვრებას ამყარებს. რასაკვირველია, რუსის ხალხის არა მკითხე ვექილებს არავითარი უფლება არა აქვთ თავიანთი ჭუჭყიანი, ქართველი ხალხის სისხლსა და ცრემლში გათხვრილი ხელი კვლავ ჩვენკენ გამოიშვირონ და კვლავ მონობის უღელი დაადონ განთავისუფლებულ ერს.

ეს მშვენიერად ამწვანებული მთა-მინდორ-ველი, ეს ათასი წლის თაობათა შრომით გაპოხიერებული სამშობლო მიწა-წყალი, ეს ხმელეთ-ზურმუხტი საქართველო, რომლის ყოველი ადგილი ჩვენი წარსული ისტორიული მოგონებებითა სცხოვრობს,—ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ქართველი ხალხის კუთვნილებაა და არც რუსის ხალხს და არც რუსეთს მასთან არაფერი ესაქმება.

ჩვენ ვიცით, რომ რუსის იმპერიალისტების გაუმაძღარი თვალი ხარბად მისჩერებია ჩვენს სამშობლოს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ რუსის შოვინისტები, რანაირ ქურქშიაც არ იყვნენ გახვეულნი, ბევრს ისეთს ლოზუნგს გადაგვაფხრიწავენ თავზე, რანაირიც არის ერთა თვითგამორკვევა, ჩვენ ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ როდესაც დადგება დრო, ყველას დაავიწყდება ლამაზი სიტყვები და თავს წამოჰყოფს მხოლოდ გატიტვლებული ცინიკური ზოოლოგიური ინსტინქტი ჩვენი ქვეყნის ჩაყლაპვისა. მაგრამ ვიცით ისიც, რომ არსებობს სხვანაირი ინსტინქტებიც, მაგალითად, ინსტინქტი თავის დაცვისა. და ქართველი ხალხიც, რომელმაც უკვე იგემა სიტკბოება თავისუფლებისა, სოციალისტურ ქურქში გახვეულ ისეთს პოლიტიკურ ვაჟ-ბატონებს, როგორიც ბაქოელი სოციალისტ რევოლიუციონერები ბრძანდებიან, სათანადო პასუხს გასცემს.

„დიახ,—განაგრძობს ავტორი,—თავისი სიკეთით და სულგრძელობით, რომელიც, ვფიქრობთ, თვით ევროპასაც არ უნდა ჰქონდეს დაგროვებული, რუსის ხალხი იქნება მოისურვოს და დაუბრუნოს საქართველოს უფლება დამოკიდებლად არსებობისა. მაგრამ არავის მთელ მსოფლიოში, არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ შეუძლიან რუსის ხალხის დაუკითხავად, ამა თუ იმ სახით მოეპყრას რუსეთის ესა თუ ის ტერიტორიას!"

როგორ მოგწონს, მკითხველო, ასეთი განმარტება „თვითგამორკვევისა"? რუსულად კი არ ჩაუსვამს ავტორს ეს სიტყვა ბრჭყალებში? აქ უკვე ერთა თვითგამორკვევაზე კი არ არის ლაპარაკი, აქ გველაპარაკება მპყრობელი ერის წარმომადგენელი, რომელსაც ვერ მოუნელებია, რომ გემრიელი ლუკმა ხელიდან ეცლება. თურმე ნუ იტყვით, რუსის ხალხის ხელგრძელობაზე ყოფილა ყველაფერი დამოკიდებული. მოისურვებს—გაგვანთავისუფლებს, არ მოისურვებს—შეგვჭამს. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ლოგიკის ხალხიც არსებობს, ჩვენ ვიცით, რომ მთელი ძველი რუსეთი ამ მპყრობელობითი მანიით იყო დასნეულებული, მაგრამ რა შუაშია აქ სოციალიზმი, რომლის ნიღბით თავს აფარებენ ბაქოელ სოციალისტ-რევოლიუციონერები. საქმით ჩანს, რომ ისინი ისეთივე ჟანდარმები არიან, რანაირსაც ძალიან კარგად იცნობს ჩვენი ხალხი.

არ. ჯაჯანაშვილი.

21
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ სახალხო გვარდიის დღეა

გერმანული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნორვეგიული პრესა საფრანგეთის მოთხოვნილებათა შესახებ.

ნორვეგიული გაზეთი „ტაგბლადეტი" შეთანხმების სახელმწიფოთა ზომით მოთხოვნილებათა შესახებ სწერს: ვიდრე საფრანგეთი იბრძოდა თავისი არსებობისა და უფლების დასაცავად, ფრანგებს არავინ ამტყუნებდა ომის წარმოებისთვის, ამიტომ ომის დროს მთელი კაცობრიობა საფრანგეთს უთანაგრძნობდა. არც დღეს კიცხავენ საფრანგეთს თავისი საზავო პირობების წამოყენებისთვის. მაგრამ საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა ახლა ისეთი მოთხოვნილებანი წამოაყენეს, რომელნიც ყოველ შესაძლებლობას აღემატება. დროებით ზავის პირობების დაჟინებით ცხოვრებაში გატარება და აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომები და საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესის მიერ გერმანიის რესპუბლიკის კიცხვის საშუალება იმის მაჩვენებელია, რომ ფრანგებს სწადია ისევ დამხოს და გაანადგუროს რეინის კავშირი და მასთან ერთად მთელი გერმანია, როგორც დიდი სახელმწიფო, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა გერმანიის მთავრობა სათანადოთ მოქმედებს ჯარების ევაკუაცია წესიერად და ჩინებულად ჩატარდა.

მდგომარეობა გერმანიაში

გერმანიის მთავრობის მთელი აპარატი თითქმის დაუბრკოლებლივ აწარმოებს თავის მუშაობას: თუ ადგილი არ ექნა დამრღვევ გავლენას გარედან ახალი გერმანიის სახელმწიფო მოკლე ხანში ეროვნულ ყრილობის და კანონიერ მთავრობის სახით კვლავ აღსდგება და ომის შემდეგ უფრო ძლიერი შეიქმნება. სამწუხაროდ, სეპარატისტული ტენდენციები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ დამფუძნებელ კრების სიდიადის წინაშე ძალას კარგავს. საერთო სოციალისტურ ახალ ორიენტაციისკენ მისწრაფება იმედს გვაძლევს, რომ მიუხედავად შიმშილისა და გაჭირვებისა გერმანია სულ მოკლე ხანში მშვიდობიან ცხოვრებას მიაღწევს.

ჰუნგრეთში

ჰუნგრეთის სამხედრო სამინისტროს ცნობით, ჩეხო-სლოვაკები სოფლებსა და ქალაქებში სახალხო ხმის მიცემას აწყობენ ჩეხო-სლოვაკების სამეფოსთან შეერთების შესახებ ხმის მიცემის შედეგი ზოგიერთ ადგილებში ჩეხების იმედებს ვერ ამართლებს, რადგან მცხოვრებთა უმეტესს სურს ჰუნგრეთის სამეფოში დარჩენა და ჩეხო-სლოვაკებთან შეერთების შესახებ უარს აცხადებს. ამის და მიუხედავად ჩეხო-სლოვაკები განაგრძობენ მოქმედებას. რამდენად ვიცით მათ არ სურს მოუცადონ სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებას და სურთ ჯერ კიდევ დროებითი ზავის დროს მათ ხელში იყოს ზემო ჰუნგრეთის ნაწილი.

არეულობა ბერლინში

ბერლინის დილის გაზეთები ერთხმად კიცხავენ გუშინდელ ამბებს. „პოსიშე ცაიტუნგი" აღნიშნავს გუშინდელსა და 9 ნოემ. ამბების განსხვავებას 9 ნოემ. არც ერთი თოფი არ გავარდნილა რევოლიუციის და ხალხთა აჯანყების წინააღმდეგ. გუშინ კი უკანასკნელთა საწინააღმდეგოდ სროლა იყო. ჯარის კაცებს არ შეეძლოთ დაგვიანება, როცა ხედავდენ, რომ ახალი წესწყობილება და რევოლიუციის მონაპოვარი განსაცდელშია. სპარტაკის ჯგუფი უნდა დარწმუნდეს, რომ გერმანიის ხალხის უმეტესობას და ჯარს არ სურს დაჰკარგოს უმცირესობის ძალით გაბატონებისათვის რევოლიუციის მონაპოვარი. დანარჩენი ბურჟუაზიული გაზეთებიც აღნიშნავენ. რომ გუშინდელი ამბები იმის მაჩვენებელია, რომ ჯარის კაცთა დიდი უმეტესობა მთავრობის მხარეზეა და ახალ რესპუბლიკის წესრიგის უზრუნველყოფა სურს, „ფორვერტსი" მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას და ამბობს: მთავრობამ შეასრულა თავისი ვალი და დაამტკიცა, რომ რევოლიუციისაგან შექმნილ პირობებს ის უყურებს, როგორც დროებითს და რომლის ძალდატანებით შეცვლას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. მთავრობის ლოზუნგია არა სამოქალაქო ომი, არამედ ხალხთა უფლება და წესრიგი. არავითარი უსარგებლო სისხლის ღვრა არ უნდა მოხდეს.

ინგლისის მოთხოვნილება.

ინგლისის უკანასკნელი მოთხოვნილება, რომ უკანვე დაუბრუნდეს მას გერმანიაში დაკავებული გემები, მთელი გერმანიის პრესის აზრით სრულებით არ ეთანხმება დროებითი ზავის პირობებს და მათ მოთხოვნილებებს აღემატება. გაზეთების შეხედულებით ეს მოთხოვნილება იმას მოწმობს, რომ ინგლისელებს, ფრანგებს სურთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ გერმანიას წაართვან ის, რის მიღებაც კი შესაძლებელია. იმ დეკლარაციაში, რომელიც აღნიშნავს დროებითი ზავის პირობების ძალადობას ხაზ-გასმითაა აღნიშნული შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილებების უკანონობა რომ გერმანიის ყველა უკვე დამზადებული სამხედრო და აგრეთვე მდინარის ყველა გემი მოკავშირეების უნდა გადასცეს.

ინგლისური პრესის ცნობები

სპარტაკის ჯგუფის გამოსვლა

ბერლინში მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია, მაგრამ როგორც ეტყობა, ერთი მეორეს ებრძვის ორი ტენდენცია: პირველი სპარტაკული მოძრაობა რომელიც მთელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ლამობს და მეორე ჯარის მოძრაობა უკიდურეს სოციალისტების წინააღმდეგ. ლიბკნეხტის მიერ განზრახული გალაშქრება როგორც სჩანს ვერ მოუხდა სპარტაკელებს და მთავრობის ჯარებს შეტაკება მოხდა რომლის დროს ტყვიის მფრქვეველებს და ყუმბარებს ხმარობდენ მთავრობის ჯარის ზარალი მცირეა.

ინგლისის ჯარი.

ინგლისის ნავოსნობის კანტრალიორი იუწყება, რომ ამერიკის ჯარის 60 პროცენტი ინგლისის გემებზე იქნა გადაყვანილი, რისთვისაც სამგზავრო გემები იქნა გამოწვეული სამხრეთ აფრიკიდან, რომელთანაც ვაჭრობა ფაქტიურად შესწყდა, აგრეთვე გამოწვეულ იქმნა სამგზავრო მატარებლები ინდოეთიდან და ავსტრალიიდან ამის გამო ჩვენი იმპორტის დანაკლისი ერთ მილიონ ტონს აღემატება.

დროებითი ზავის პირობის თანახმად ინგლისში დაბრუნდა 131 ოფიცერი 56694 სხვა წოდების კაცი და 2753 მოქალაქე.

ვილსონი

პრეზიდენტი ვილსონი პარიზში მომავალ შაბათს მივა პარასკევს ბრესტში იქნება.

მოკავშირეთა კონფერენცია

გადაწყვეტილია, რომ მოკავშირეთა კონფერენცია წინასწარ დროებითი ზავის შესახებ გაიხსნება პარიზში, დეკემბრის 16 კონფერენცია დაახლოვებით 15 იანვრისთვის დასრულდება. დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკებას დაესწრება გერმანიის წარმომადგენელი და საბოლოო ხელშეკრულებას ის მოაწერენ აპრილის დამლევს ან მაისის დასაწყისში.

მოსკოვის ცნობები.

(საქარ. დეპეშათა სააგენტო)

პარიზი, დეკემბრის 8. სერბიის მემკვიდრე პრინცმა ალექსანდრემ განაცხადა, რომ ახლო მომავალში სერბია შეუერთდება კროაციას და სლავონიას და შეიქნება მთლიანი სამეფო.

ნაუენი, დეკ 7. ბერლინში სპარტაკის მუშათა კრებაზე ლიბკნეხტის სიტყვის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ბერლინის ქალაქის რეაქციონურ კომიტეტების დათხოვნას. კრების დახურვის წინ ლიბკნეხტმა კრებას წინადადება მისცა გაანთავისუფლოს პოლიციის სამმართველოს მიერ დაპატიმრებული პოლიტიკურნი.

ბერლინი, დეკ. 8, პოლონური პრესბიურო იუწყება რომ პრეზიდენტს ვილსონს კრაკოვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის სახელწოდება შესთავაზეს.

მოსკოვი, დეკ. 9. ხარკოვში მეტად სერიოზული მდგომარეობაა ადგილობრივი ბოლშევიკები დაუფარავად აარსებენ საბჭოებს გამოდის გაზეთი „იზვესტია". გერმანელი ჯარისკაცები საჩქაროდ სტოვებენ ხარკოვს.

ახალი ამბავი

◆ **შეწირულება.** კოოპერატივ „თემაბის" გამგეობამ 200 მანეთი შეწირულება გადასდო ღარიბ ოჯახთა აღნიშნულ კოოპერატივში წევრად ჩასაწერად —გარდაცვალებულ ჩვენი პარტიული ამხანაგის თამარ ალექსანდრეს ასულ თარხანმოურავის გვირგვინის მაგიერ.

◆ **გერმანული ენის კურსები.** გერმანულ ენის კურსებზე მაცადინეობა დაიწყება არა დეკ. 9, არამედ 11-ს საღ. 6 საათზე. ჩაწერა გრძელდება პირველ სავაჟო გიმნაზიაში, პირველი შესავალი როზენის ქუჩიდან. მსურველები უნდა გამოცხადდნენ 5 და 6 საათს შუა აქვე. სწავლის ფასი თვეში 20 მან.

◆ **საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** კვირას დეკემბრის 8-ს დამსწრე წევრთა სიმცირის გამო ვერ შესდგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება და გადაიდო 15 სათვის მომავალ კვირისათვის. კრება უნდა მოხდეს ისევ სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქართულ უნივერსიტეტში) დილით 12 საათზე. წლიური ანგარიშების გარდა დამსწრენი მოისმენენ აგრეთვე პ. ინგოროყვას შემდეგ მოხსენებას: 1) „გრიგოლ ოშკელი მე-10-ე საუკუნის ქართველი მწერალი" და 2) „გრიგოლ ღვთისმეტყველის ძველი ქართული თარგმანები".

◆ **საარაკო პატიოსნება.** ალექსანდრე მაისურაძეს პარასკევს დეკემბრის 6 ეტლში უპოვია 330,000 მანეთი. ეს ფული მაშინათვე ჩაუბარებია სახელმწიფო ბანკისათვის. იგი გამომდგარა არარატის რესპუბლიკის წარმომადგენლისა. ა. მაისურაძეს მოუთხოვნია, როგორც კანონისაგან არის განსაზღვრული, ნაპოვნის ერთი მესამედი, მაგრამ მისთვის ოცი ათასი შეუძლევიათ მხოლოდ, რაზედაც მას უარი განუცხადებია. ყველაფერი ეს შემოწმებულია გენერალ მაზნიაშვილისაგან და დამტკიცებული ნოტარიალურად. საქმე უნდა გადაწყვიტოს ახლა მთავრობამ და სასამართლომ.

◆ **სამხედრო გზაზე.** გზატკეცილების სამმართველოს უფროსი იუწყება, რომ ჯვარის უღელტეხილიდან სადგურ კობამდე დიდი თოვლი დასდო და მიმოსვლა შესწყდა. მიღებულია ზომები გზების გასაწმენდად.

◆ **ტერმინოლოგია.** გზათა სამინისტროს სატერმინოლოგიო კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა, რომელიც მოიწონა მინისტრმა. რკინის გზის მოსამსახურეთათვის სახელმძღვანელო ამ ჟამად სტამბაში უკვე მზადდება დასაბეჭდად.

◆ **საქმის წარმოება რკინის გზებზე.** საქართველოს გზათა მინისტრმა ბრძანება გასცა, რათა იანვრის პირველიდან საქართველოს სახელმწიფო რკინის გზებზე ყოველგვარი საქმეები ქართულ ენაზე სწარმოებდეს, საქართველოს საზღვრებში ბლანკები, ბილეთები და სხვა ქაღალდები ქართულად უნდა იყოს დაბეჭდილი, ხოლო საზღვარ-გარედ ქართულად და რუსულად.

◆ **ქალაქის გადასახადი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე რათა ქალაქის მთელი გადასახადი ქალაქისავე საჭიროებისათვის გადავიდეს ქალაქის კასაში.

◆ **მილოცვის დეპეშა.** პარლამენტის თავმჯდომარემ მასწავლებელთა კავშირის ყრილობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შესრულების გამო მიიღო მისალოცი დეპეშა.

◆ **მასწავლებელთა კავშირის ყრილობა.** დეკემბრის 8-ს მეორე ქალთა გიმნაზიაში შესდგა საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის ყრილობა. ყრილობამ დაადგინა აირჩიოს კომისია, რომელიც უნდა გაეცნოს სამინისტროს კანონ-პროექტს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ნივთიერ გაუმჯობესების შესახებ და თავისი დასკვნა წარუდგინოს შემდეგ საზოგადოებებს. ამ კრებაზე არჩეულ უნდა იქნას დელეგაცია მთავრობასთან გასაგზავნად, კანონ-პროექტის დაჩქარების შესახებ.

◆ **ფარმაცევტების მისალმება.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა მოვალეთ სთვლის თავის თავს თქვენის სახით უძღვნის გულწრფელი სალამი რესპუბლიკის მთავრობას როგორც დემოკრატიის საუკეთესო იდეალების გამომხატველს. ყრილობამ დაადგინა გამოგიცხადოთ თქვენ სრული ნდობა და აღვითქვათ თავის მცირე ძალებით ყოველგვარი შემწეობა. ყრილობის თავმჯდომარე ჩიჩუა.

◆ **ლექციები.** დღეს დეკემბრის 11 საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტების ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: ინჟ. ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლი", ვლ. ბაქრაძისა „სახელმწიფოს უფლება".

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

საგარეჯო. ს. საგარეჯოს სოციალ ფედერალ სარევოლ. პარტიის კომიტეტი ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ საგარეჯოში დანიშნულია საორგანიზაციო კრება 1918 წ. დეკ. 15 ივლება ყველა საგარეჯოს რაიონში მცხოვრებ ამხანაგებს დაესწრონ. კრება დაიწყება დილის 10 საათზე.

—

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის სამხედრო საბჭო მადლობას უხდის მებრძოლთა რაზმის წევრს გიორგი ივანის ძე სამსონისძეს რომელმაც 50 მან. შემოსწირა სამხედრო ორგანიზაციას სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

გვარდიის დღე

დეკემბრის 12 სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში მორიგი ლექციები არ შესდგება.

ნაძალადევის თეატრში უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით სერ. ქორქოლიანის ხელმძღვანელობით გაიმართება საგანგებო საღამო-წარმოდგენა რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა გვარდიის შტაბს სიტყვას გვარდიის მნიშვნელობაზე წარმოსთქვამს სერ ქორქოლიანი, ადგილობრივ გვარდიელთა სარევოლიუციო გუნდი შეასრულებს სიმღერებს და გვარდიელთა სცენის მოყვარეთა დასი წარმოადგენს „პატარა კახის" მეორესა და მესამე მოქმედებას საღამო დასრულდება აპოთეოზით „ვაშა გვარდიას".

სახალხო გვარდიის დღე

დეკემბრის 12 ტფილისში და აგრეთვე საქართველოს ყველა ქალაქებში შესდგება დიდი დღესასწაული. სახალხო გვარდია დღესასწაულობს თავის ერთი წლის მოქმედებას. უკვე ორი თვეა, შესდგა სპეციალური ბიურო, რომელმაც შეიმუშავა დღის პროგრამა.

დღესასწაული დაიწყება დილიდან გვარდია ჯართან ერთად გამოვა პარადზე მთავრობის წინამძღოლობით. პარადის შემდეგ სახალხო გვარდიის რაზმი შემოივლის ქალაქს მუსიკით და ეროვნული სიმღერით პროცესიაში მონაწილეობას მიიღებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები მოწაფეებით და მათი მომღერალთა გუნდით. სახალხო გვარდიის მთავარი ხელმძღვანელები და სხვა და სხვა სოციალისტების პარტიის წარმომადგენლები გამართავენ მიტინგებს. დიდი მიტინგი გამართული იქნება რკინის გზის მთავარ სახელოსნოში. ამ დროს მთელს ქალაქში იწარმოებს ყულაბები ფულის მოკრება და აგრეთვე გვარდიელების ლაშქრობის დროს გადაღებული სურათები და ღია წერილები.

საღამოს სახელმწიფო თეატრში გვარდიის სადღესასწაულოთ გაიმართება სპექტაკლი.

ასეთივე სპექტაკლები და საღამოები გამართული იქნება ყველა ტფილისის საკრებულოებში. ზოგიერთ ადგილებში წაიკითხება ლექციები.

რადგან ზოგიერთ საკრებულოებში დადგმული იქნება კაბარე აუქციონებით,—ამიტომ სიარული და საერთო მოძრაობა ქალაქში ნება დართულია დილამდის. ტრამვაიების ვაგონების რაოდენობა გამრავლებული იქნება. სახალხო გვარდიის დღეს იდღესასწაულებენ როგორც სხვა ქალაქებში, ისე ყველა საქართველოს კუთხეებში.

მთელი ფული შემოსავლის, წმინდა შემოსავალი გადადებულ იქნება დაჭრილ დასახიჩრებულ სახალხო გვარდიელების და მათი ლაზარეთების სასარგებლოდ.

საეროზო არჩევნები დუშეთის მაზრაში

(შემდეგი *)

ამას წინად გაზ. „ერთობაში" ვილაც „პატიოსანი გვამი" სწერდა: „სადაც ჩვენ არ ვიყავით ყუთთან, იქ სოციალ-ფედერალისტებმა თავისებურად მოაწყეს საქმეო". აი ამისას იტყვიან „ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალი". ჩვენ მოვითხოვთ „ერთობისაგან" დაგვისახელოს ერთი მაინც ისეთი ყუთი, სადაც სოც.-დემოკრატების აგენტები არ ყოფილიყვნენ, ყუთი მარტო ჩვენ გვქონოდა და იქ ბევრი ხმა ამოსულიყოს ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. პირიქით, ქადისჯვარში ლეხურაში და ქოლოთში, ჭოპორტში, წინამძღვრიანთ კარში და ცხვარიჭამიაში, ანანურში, კობში და რამოდენიმე ალაგას ქვეშეთის რაიონში ყუთებთან არ იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლები, ყუთები სოციალ-დემოკრატების აგენტების ხელში იყო და სწორედ იქ მიიღეს ხმები თორემ სადაც ჩვენ შეგვეძლო კანტროლი და სადაც „მახინაციების" საშუალებას არ ვაძლევდით, იქ სოც. დემოკრატებმა თავისუფალი ხმები ვერ მიიღეს. მაშ ასე, დაგვისახელეთ ყუთები, სადაც მარტო ჩვენ ვიყავით! ასეთი ყუთები არ იყო და მაშასადამე „ერთობის" თანამშრომელმა იცრუა და ეს ხომ ქურდის ხერხია,—მოიპაროს მერე გარბის და იძახის: „ქურდი დაიჭირეთო".

ერთი შესანიშნავი პროკლამაცია კიდევ გამოაკრეს დუშეთში მენშევიკებმა, ეს დოკუმენტი იმდენად დამახასიათებელია თვით მენშევიკებისა, რომ მას სიტყვით მოვიყვანთ:

„მოქალაქენო! თუ გინდათ ერობაში ღირსეული კანდიდატები გაიყვანოთ და არ შეცდეთ, მანამ აიღებდეთ ხელში რომელიმე ნომერს, დააკვირდით ამ კითხვა-პასუხს:

1. ვინ შეჭამა თქვენი ქალაქის კოოპერატივი? ს-მა ფედერალისტებმა.

2. ვინ გახადა ქ. დუშეთში პური 4 მან 50 კაპ.? ვინ გადაიქცია ქალაქის გამგეობა სავაჭრო დუქნად? ს-მა ფედერალისტებმა.

3. მთელი მაზრის კოოპერატივთა კავშირის შენახვა ხომ ისევ ხალხს აწვება კისერზე, მაშ საჭიროა ვიცოდეთ, ვინ მოიკალათა ამ კავშირში და ოთხმოცი თუმანი ჯამაგირი დაინიშნა? ს. ფედერალისტებმა.

4. ვინ არიან ისინი, ვისაც ვერ მოუნელებია სხვა ერთა ცხოვრება ჩვენს საქართველოში და კაციჭამია ნაციონალისტობას კვლავ განაგრძობენ? ს. ფედერალისტები.

5. ვინ არიან ისინი, ვინც იმდენ ზნეობრივი [illegible] კი მივიდნენ, რომ მოინდომეს ქანდალული გლეხის მოტყუება და თავის სიაში კანდიდატად შეპარება და ამის გულისთვის ყალბი ცნობებიც შეთხზეს ვითომცდა ამ გლეხისა? ს. ფედერალისტები

6. ვინ არიან ისინი, რომლებიც სიტყვით ბევრსა ყვირიან და საქმის გაკეთების უნარი კი არ შესწევთ? დუშეთის ფუქსავატი ინტელიგენცია, ს. ფედერალისტები".

აი ასეთი ფურცლები გამოაკრა დუშეთში სოც.-დემოკრატების კომიტეტმა და ბ. ჟორჟაძემ. ეს ჟორჟაძე თითქოს პატიოსანს ყმაწვილსა ჰგავს და ჩვენ გვიკვირს მისი ასეთი „მრავალმხრივობა". აბა, გაუსინჯოთ კბილი ამ სამარცხვინო ფურცელს.

1. ვინ შეჭამა კოოპერატივი? გამგეობამ კოოპერატივისამ აღმოაჩინა ქურდობა. თურმე ნოქრებს მოეპარათ ოთხმოცი ათასი მანეთის საქონელი. გამგეობამ ეს გამოაშკარავა და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცა. გამგეობაში რომ სოციალისტ-ფედერალისტები არ ყოფილიყვნენ, შესაძლებელია ის მომხდარიყო, რასაც სოციალ-დემოკრატები შვრებიან: ერთს აჯამებენ, ერთს თანამდებობაზე, რომ მათი ამხანაგი ფულს მოიპარავს, გაფლანგავს, მაშინვე ზედ გადაეფარებიან, საქმეს ჩაჰქმალავენ და დამნაშავეს სხვა ადგილზე გადაიყვანენ და წარმატებას მისცემენ, რისი მაგალითებიც თვით დუშეთში, თუნდაც მათი საეროვნო ხაზინადარი ტიტე შუბითაშვილი, [illegible] და სხ. რომელთა ხელში დაიკარგა ათი ათასობით ხალხის ფული, ჯარისკაცთა ოჯახების ლუკმა და თავს იმით იმართლებენ, ბოლშევიკებმა ფეჩი გაგვიხადეს და იქა შენახდა, ან და დამარხული ქონდა და ისევ ბოლშევიკებმა ამოთხარესო; ან და თავადების გმირები,— გოგიტიძე და მისი ავან-ჩავანი, რომელთა ბნელი საქმეები სასურსათო კომიტეტში დღესაც გამოუძიებელია; ან და კიდევ სიღნაღში, სადაც, როგორც ეს ამ ხუთიოდე თვის წინად უკვე იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში, ერთს

---

*) იხ. „სახ. საქმე" № 404.

ცოლ-ქმარის ბოროტ-მოქმედებანზე ერთხმობით თითონ სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს ვითომ გამოძიება, მაგრამ მერე მიიჩქმალეს და ისინი დღეს სიღნაღის სხვა რაიონში განაგრძობენ „მოღვაწეობას“; სიღნაღში თვით ხმოსნად გაიყვანეს ისეთი პირი, რომლის შესახებ ათასი ბრალდებაა წამოყენებული, რომ მან რამოდენიმე ასი ათასი მანეთის სასამართლოში მოგროვილი ნივთები გაჰყიდაო და სხ. და სხ. ვინ მოსთვლის!

მთელი საქართველო ლაპარაკობდა კარხუშვილის საქმეებზე, მაგრამ რაც მეტი ბრალდება იყო, იგი უფრო და უფრო დაწინაურებისაკენ მიდიოდა, სანამ ბოლოს შეუძლებელი არ გახდა მისი მფარველობა. აი საქმე და ბოროტება რაშია და დუშეთის კოოპერატივის გამგეობამ კი თითონ აღმოაჩინა ბოროტ-მოქმედებაც და ბოროტ-მოქმედნიც და ახლა მართებლობის საქმეა მათი დასჯა.

2) მთელი მაზრის კოოპერატივთა კავშირი ხომ ისევ გლეხებს დააწვათ სწირეს სოციალ-დემოკრატებმა. ყოჩაღ კოოპერატორებო! აგრე უნდა კოოპერაციის იდეის პროპაგანდა ხალხში! ყოჩაღ, ასე გაანათლეთ ხალხი! სოციალისტური ზნეობის ხალხია ეს დუშელი სოციალ-დემოკრატები! თუ სოციალ დემოკრატები იქნებიან ნოქრები, ტრამვაის მუშები, სახელოსნოებში, რკინის გზებზე და სხვ. პროფესიონალური კავშირები სწევენ და სწევენ ზევით მათს ჯამაგირებს, მაგრამ ვაიმე მუშა თუ სოც.-ფედერალისტია, ხელათ მზადაა პროვოკაცია: ხალხო შეჰჭამეს სოც.-ფედერალისტებმაო. ტფილისშიაც არის კოოპერატივთა კავშირი და იქ გამგეობა, წევრებს ეძლევა თვეში ორი ათასი მან. მაგრამ იქ სოც.-დემოკრატებია და მაშასადამე ეს შეიძლება.

3) ახლა ის ქინვალელი „საწყალი გლეხის“ ამბავიც. აი საქმე როგორ არის. ინსტრუქციის მიხედვით ამომრჩეველთა სიები და კანდიდატთა სიები შესამზადებლად რამოდენიმე კვირაა დანიშნული, მაგრამ დუშეთის სამაზრო კომისიამ, როგორც ეს ზევით დავინახეთ, ან ვერ შეასრულა და ჩვენ დრო აღარ დაგვრჩა არჩევნებისთვის მომზადებულიყავით. ნოემბრის 21-მდე გველოდინეს და არც პი გვითხრეს არც არა შეთანხმებული სიით გამოსვლაზე მხოლოდ ამ დღეს მოგვწერეს ჩვენს ოფიციალურს შეკითხვაზე: „დუშეთის ს. დ. კომიტეტი პრინციპიალურად დიდი მომხრეა შეთანხმებული მუშაობისა. მაგრამ სამწუხაროდ ის თავისთვის შეუძლებლად სცნობს დუშეთის მაზრაში სოც.-ფედერალისტებთან საერთო სიით გამოსვლასო“. დუშეთის მაზრა ოთხ რაიონად იყო დაყოფილი და რადგანაც ორასი ვერსი აქვს მაზრის სიგრძე სიგანე, ჩვენ თავის დროზე ვეღარ მოვასწარით ყველასთან კაცები გვეგზავნა და მათი თანხმობა წერილობით მიგვეღო. ჩვენ სხვათა შორის იმ ქინვალელ გლეხსაგან გვქონდა სიტყვიერი თანხმობა და კერძო წერილიცა ხელთ გვაქვს, მაგრამ როდესაც მასთან ჩვენი კაცი მივიდა, იგი ავად იყო და რადგანაც მან ძლივს იცის წერა, მანვე ნება მისცა მის მაგიერ თანხმობის წერილი დაეწერა. სოციალ-დემოკრატებმა აფრინეს მასთან კაცი და ჩვენს პარტიულს ამხანაგს უარი ათქმევინეს: მე თანხმობა არ მიმიცაო. თუ აქ ვისმე ჩირქი ეცხება, ისევ სოც.-დემოკრატებს, რომელნიც ასეთს გასაჭირს მდგომარეობაში აყენებენ საბრალო მოხუცს. და ინსტრუქციითაც სრულიადაც არ არის აუცილებელი თანხმობის ფურცელი საკუთარი ხელით დაწერა; თანხმობა დეპეშითაც შეიძლება და დეპეშის ნოტარიული შემოწმება სრულიად საჭირო არ არის. ასე რომ აქ ჩვენ შევცდით იმ გლეხის შეგნებაში და პარტიულს სიმტკიცეში და თუ რაიმე დანაშაულობაა, აღძრან საჩივარი სოციალ-დემოკრატებმა სასამართლოში და დაგვსაჯონ, თორემ ზნეობრივს გაკიცხვაზე, როდესაც სოც.-დემოკრატები ლაპარაკობენ, ეს სასაცილოა და მეტი არაფერი.

4) საქმიანობა-უსაქმურობაზე დუშელი სოც.-დემოკრატები რომ ლაპარაკობენ, ესეც დიდი თავხედობაა, რადგანაც განსაკუთრებით დუშელებმა საუცხოოდ იციან მათი „საქმიანობა“. ჩვენი ამხანაგები კი იმას მაინც აკეთებენ, რაც შეუძლიათ და ის კი ცხადია, რომ მთავრობა არავითარს დახმარებას მათ არ უჩენს.

აი თუნდაც ის, რომ რა შეძლებულობაც კი არ იქნება ქ. დუშეთის თავმა არც ერთი არ შეუსრულებს. მაშინ, როდესაც ოზურგეთს ასი ათასობით დახმარება ეძლევა ქ. ტფილისს ამ დღეებში ათი მილიონი სესხი მისცეს დუშეთის ქალაქის საბჭოს თხოვნა დღევანდლამდისაც უყურადღებოდაა დატოვებული, მაშინ როდესაც სწორედ ამ მაზრას და ამ ქალაქს ესაჭიროება დიდი დახმარება და ყურადღება. მთავრობამ ძლივ-ძლიობით მისცა ქალაქის თავს ერთი დამტვრეული, ფუარეხისი ფირმის საზიარო ავტომობილი, რაც საჭირო იყო მიმოსვლის ადვილებისთვის, მაგრამ ძლიერად ათი ათასი მანეთი ქირა სთხოვა, თითქოს ეს მისვლა-მოსვლა სახელმწიფოებრივი საქმე არ იყოს. რა თქმა უნდა ამდენს ფულს ის ავტომობილი ვერ მოიტანს, პირიქით დეფიციტი ექნება. მაშასადამე დუშეთმა უარი უნდა სთქვას და უკან უნდა დაუბრუნოს.

5) შემდეგი მუხლები იმ სამარცხვინო პროკლამაციისა უკვე ნამდვილი პროვოკაციაა: სოციალისტ-ფედერალისტებს უნდათ სხვა ერების განდევნაო (!?). ეს პროვოკაცია მათ დასჭირდათ სომხების დასაშინებლად და მოსატყუებლად. კიდეც მიაღწიეს საწადელს და სომხებმა პირველს ნომერს მისცეს ხმები, თორემ დუშეთში ისინი უფრო სამარცხვინოდ დამარცხდებოდნენ. რა უნდა ელაპარაკო ისეთს ხალხს რომელნიც ასეთს პროვოკაციასაც არ ერიდებიან?

6) მაგრამ ყველაფერს გადააჭარბეს ამ ვაჟბატონებმა მაშინ, როდესაც ისინი სწერენ: დუშეთში მუდამ სოციალისტ-ფედერალისტებმა გაიძვერეს (?!). ასეთს რამეს ჩვენ ვიცნობთ ტფილისშიაც. აქაც ამბობდნენ: სოციალ-დემოკრატებმა, საქართველოს მთავრობამ გაგვიძვერაო ჰურია, მაგრამ ამას ამბობდნენ ხულიგანები, ძველი შავრაზმელი პოლიციელები და მოხელენი, სომხის ბურჟუაზია, რომელნიც განიდევნენ ქალაქის საბჭოებიდან და დღეს იმასვე სოციალ-დემოკრატები იმეორებენ ჩვენს შესახებ?! მაგრამ სთქვან და სწერონ. ჩვენ ამისი სახელი უკვე ვიცით: ეს არის პროვოკაცია.

ქალაქის საბჭო სავაჭრო დუქნად გახადესო. რაშია საქმე? ქალაქის თავმა ტფილისიდან [illegible] მოიტანა შაქარი და [illegible] არიდებს; საბჭომ იყიდა პური და სიმინდი და ქალაქის ღარიბ-ნაირებს ყიდის, საბჭოშივე იძლევიან ავტომობილის ბილეთებს და სხ. და სხ. და ეს არის სავაჭრო დუქნად გახდომა?!

რაღაც თვე ნახევარია, რაც სოც.-ფედერალისტები არიან ქალაქის საქმის სათავეში და იმდენი რამ გააკეთეს, ახლა ორს საავადმყოფოსაც აწყობენ და კიდევ მეტი რამ უნდათ გააკეთონ და ერთი გვიჩვენონ რა გააკეთეს თუნდაც თვით დუშეთში მათმა „საქმიანმა“ ამხანაგებმა?

ასეთია დუშეთში სოციალ-დემოკრატების „მოღვაწეობა“, ასეთია მათი გამარჯვება, ასეთია მათი „თავისუფალი არჩევნები“.

ეს ჩვენ აღვნიშნეთ იმისათვის, რომ ყოველივე ეს უნდა გასწორდეს, უნდა მოისპოს ასეთი ბოროტებანი, თორემ სოციალ-დემოკრატების აგენტების წყალობით ჩვენს მთავრობას შეიძლება ძირი გამოუთხარონ, ხალხი ზურგს შეაქცევს მ.-ს. ყოველივე ეს აღვნიშნეთ იმისათვის, რომ მთავრობამ ზომები მიიღოს და ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს მომავალში და განსაკუთრებით დამფუძნებელ კრების არჩევნებშიაც. მთავრობა არ უნდა უჯერებდეს თავის პარტიულს აგენტებს ასე ბრმად ყოველივე დაიჯეროს!, თორემ მეტისმეტ ჩავარდება უხერხულს და სასაცილო მდგომარეობაში.

ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, რომ გამოირკვა არჩევნების შედეგები. პირველ ნომერს მიუღია შვიდი ათასი ხმა ჩვენ ვამტკიცებთ და იმაში თვით სოც.-დემოკრატების აგენტებიც უნდა დაგვეთანხმონ, რომ ეს ხმები ფიქციაა. ეს ხმები ამოსულია იმ ყუთებიდან, სადაც სოც.-დემოკრატებმა ცენტრალურად განაგებდნენ ყუთებს, სადაც ჩვენი წარმომადგენელი დარაჯად არ იდგა ყუთს. ჩვენთვის ერთი რამ არის საინტერესო: სოც.-დემოკრატებმა დაჰკარგეს ოცი ათასი ხმა, ე. ი. მიიღეს თითქმის ოთხჯერ ნაკლები და ჩვენ კი ორჯერ გავიზარდეთ. ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილია და იმას გვიკარნახებს, რომ ხალხი თანდათან გრძნობს, ჩვენ გვიახლოვდება და მაშასადამე მეტი ენერგია და მუშაობა გვმართებს უნდა გადავლახოთ ყოველივე დაბრკოლები და ხალხს უნდა მივუტანოთ ჩვენი ბრწყინვალე იდეები და პატიოსანი საქმიანობა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი ზრდა ბუნებრივად მიდის და ამ არჩევნებიდან ჩვენ მეტსაც არაფერს მოველოდით.

ხმოსანი.

P. S. როგორც გავიგეთ მესხეთის რაიონში ცხრაასი ხმა მეორე ნომრისა სამაზრო კომისიას გაუქმებია, რადგანაც დასტა-დასტად ჩაყრილი აღმოჩნდა ბიულეტენები. ესეც ნიმუში ხასიათისა იმისა, რომ კომისიები თითონ ყრიდნენ სიებს ყუთებში. ამის შემდეგ რა უფლება აქვს გაზ. „ერთობას“ პირიქით შემოგვედავოს?!

ხმოსანი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. ხ. მ-ნო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის № 395-ში მოთავსებულია წერილი ვინმე გ. ზუბელოვრელისა სათაურით: „ბორჯომის სანაპირო ჯარის ცხოვრებიდან“, რომელშიაც ავტორი ჩირქს გვცხებს და ჭორებსავრცელებს ჩვენს შესახებ. ამიტომაც იძულებული ვართ უმორჩილესად გთხოვოთ ნება მოგვცეთ, რომ თქვენს გაზეთისავე საშუალებით პასუხი გავსცეთ უცნობ ავტორს და ამით ჩამოვიცილოთ ის ტალახი, რომელსაც იგი ასე დაუფიქრებლად გვესვრის.

ავტორი გვისაყვედურებს, ვითომც ჩვენ სათანადო მთავრობის ბრძანებას ვერ ვასრულებდეთ და ჩვენს მოვალეობას ვეღარ ვასრულებდეთ. ეს ცილია; სამხედრო მინისტრის განკარგულებანი ჩვენ ძალიან კარგად გვესმის და ცხოვრებაშიც გაგვყავს, რამდენადაც დღევანდელი მომენტი ხელს გვიწყობს. ჯარისკაცთა მეცადინეობის დროს ავტორს თურმე მარტო უნტერ-ოფიცრები დაუნახავს... მას რომ ცოტა მეტი ცნობისმოყვარეობა გამოეჩინა, იმასაც ადვილად დაინახავდა, რომ ჩვენი ოფიცრები, რომლებიც სპეციალ სანაპირო სამსახურისაგან თავისუფალი არიან, ყოველთვის მეცადინეობენ ხოლმე ჯარისკაცებთან; რის წყალობითაც ჩვენი სამხედრო ნაწილის შემადგენლობამ, დღევანდელ მძიმე გარემოებათა მიუხედავად, შედარებით მოკლე დროში ჯარის სახე მიიღო. ამას მოწმობს თვით სათანადო მთავრობაც ჩვენი ნაწილის დათვალიერების დროს გამოცემულ ბრძანებაში.

როგორც თვით ბ. ზუბელოვრელი ბრძანებს, თურმე ორი თვე გადის, რაც იგი ჯარისკაცებთან დაახლოვებული ყოფილა. ძაან გვეჩვენება... ნუთუ მან ამ ხნის განმავლობაში ისიც კი ვერ შეამჩნია, რომ ჩვენი სამხედრო ნაწილის სამ მეოთხედს სომხები შეადგენენ, რომელთა უმრავლესობამაც ქართული სრულებით არ იცის და ქართულ ენაზე მეცადინეობა მათთან ყოვლად შეუძლებელია მაშ რაღაზე გვისაყვედურებს იმის შესახებ, რომ ჯარისკაცთა მეცადინეობა რუსულ ენაზე სწარმოებს. ამასთანავე ავტორს ისიც უნდა მოეხსენებინა, რომ მხოლოდ ეს ერთი კვირაა, რაც მივიღეთ ქართულ ენაზე დაბეჭდილი სახელმძღვანელო ქვეითი ჯარისკაცთა ვარჯიშობისათვის რომელიც არ არის გამოსადეგი საზღვრის დანარჩენი რაზმისათვის, იმიტომ რომ ზემოხსენებული ეკუთვნის ცხენოსანთა რაზმს; სხვა სამხედრო სახელმძღვანელოები ანუ წესდებანი კი ჯერ არ მიგვიღია. საინტერესოა გაიგოთ, როგორ მოიქცეოდა თვით ბ. ზუბელოვრელი ჩვენს ადგილას რომ ყოფილიყო.

კარგი იქნებოდა, ბ. ზუბელოვრელს ეს თავის დროზე ეცნობა და ამ 20—30 წლის წინად ქართული სამხედრო სასწავლებელი დაეარსებინა; მაშინ ჩვენც ქართული ენა კარგად გვეცოდინებოდა. დღეს კი ჩვენ, რუსულ ენაზე სწავლა მიღებულთ იმდენი ძალა ვერ შევძლებთ, რომ სასწრაფოდ მივახერხოთ და ქართული ენა ასე უცებ შევისწავლოთ იმდენად, რომ სამხედრო სახელმძღვანელოებიც კი აღარ გვჭირდებოდეს ამ ენაზე. ასეთი ბედი მხოლოდ მოციქულებს ხვდათ; ჩვენ კი უბრალო მომაკვდავნი ვართ და ქართულს ენაზე სამხედრო სახელმძღვანელოები ჯერაც არ გვაბადია. ეს გარემოება, ვგონებ, თვით ზუბელოვრელმაც კარგად უნდა იცოდეს. ვიღებთ რა მხედველობაში ყველა ამას, ჩვენ ვერავითარს განსაკუთრებით დანაშაულს ვერა ვხედავთ ვერც რუსს და ვერც ქართველ ოფიცერთა მოქმედებაში. საინტერესო კი იქნებოდა ჩვენთვის, რომ თვით ბ. ზუბელოვრელი ჩადგეს ჩვენს მდგომარეობაში.

რაც შეეხება იმას, ვითომც ჩვენი სამხედრო ნაწილის ოფიცრები არ თანაუგრძნობდნენ საქართველოს თავისუფლებას და მის დემოკრატიულ მთავრობას,—ეს ისეთი სახიფათო ცილისწამებაა, რომ არც კი ღირს კაცმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს, ვინაიდან ასეთი ხიფათის შეთხზვა მხოლოდ პროვოკატორების საქმეა, ეს მხოლოდ გაბოროტებულ ავტორის წამოძახილია. იმ მიზნით, რომ ვიღაცას რამე ავნოს. მაინც ძლიერ საინტერესოა გავიცნოთ, საიდგან გამოსჩხრიკა ავტორმა ასეთი უცნაური ცნობები, ან რომელ ოფიცერს შეამჩნია დემოკრატ მთავრობისადმი სიძულვილი და ალექსეევის არმიაში შესვლის სურვილი?

ბრალდებათა დანარჩენ მუხლებზე ლაპარაკი მეტია, ვინაიდან იმდენად უსაფუძვლოა, რომ პასუხის ღირსად არა ვცნობთ. ბ. ზუბელოვრელის წერილში ჩვენ მხოლოდ წარსულის განმეორებას ვხედავთ: სახელდობრ, მასის აღელვებას ოფიცერთა წინააღმდეგ, რომლებმაც ისედაც ბევრი ვაება გამოიარეს. ავტორის ასეთ მოქმედებას ბოლშევიზმის სუნი უდის, რაც სასურველი არ არის.

ტყუილად ეშინია ავტორს რესპუბლიკის ბედისა. საქართველოს რესპუბლიკა ჩვენ ავტორზე ნაკლებ არ გვიყვარს და, როგორც ოფიცრები, ყოველთვის მზად ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ მისი თავისუფლებისათვის. ჩვენის აზრით, უფრო მეტად სახიფათოა სამშობლოსათვის ის ჯაშუში აგიტატორები, რომლებიც, ზუბელოვრელის მსგავსად, სცდილობენ ჯარისკაცთა სრულიად უდანაშაულო ხალხსა და ძმათა შორის ღვარძლი და მტრობა ჩამოაგდონ. ჩვენის აზრით, ასეთ მოქმედებას დემოკრატიულ რესპუბლიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ასე ბ-ნო ზუბელოვრელო, ჩვენ უკვე სათქმელი ვსთქვით და შემდეგში თქვენთან ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია.

ხაზდრელები.

გამომცემელი
ხარიტონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა.

საქ. მთ. მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი
№ 41, ტელეფონი 11—65 2554

ექიმი ბ. ი. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-ზე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი თავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკონსუმო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15 77. 800

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (მოსკოვიდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. [illegible] ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქალი ა. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] ყოველ დღე შინაგან, ქალთა და [illegible] ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებებს. [illegible] დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—78. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახარაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ცინგა) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, [illegible] ნაკლებობით, გულის, ფილტვის, [illegible] და სხვ. შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. [illegible] ქ. № 11. 2245

ექიმი ს. დ. [illegible] ([illegible] უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვების, [illegible] სნეულებანი. [illegible] ქუჩა № 7. [illegible] 908

ექიმი ე. მ. [illegible]. მიიღებს ვენერიული [illegible], სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და [illegible] ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. ქალების მიიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი [illegible] „ნავს“ [illegible] № 8. 301

ექიმი დ. ა. [illegible] იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ, საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჭერქეზიშვილის ქუჩა № 27 აუდიტორიის ახლოს. 2105

ექიმი ქ. [illegible], განახლდა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. [illegible] საავადმყოფოში, [illegible] ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ბ. ქ. [illegible] შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლების ანთებისა (დიფტერიტი) და წამლობა ყოველი გვარი [illegible], სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$—6 საათამდე. მეტეხის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი გ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

თვალის სამკურნალო, მუდმივი საწოლით ექიმ [illegible]
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 ([illegible] კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები [illegible] მიიღებიან. 653

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
[illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), [illegible] რენტგენოგრაფია [illegible] № 5, ბ. 3. მიიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—48. 2038

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ნაწლავისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია [illegible]. [illegible] რიგს გარეშე იღებენ. [illegible] ქუჩა, № 28, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
[illegible] 1840

კერძო სამკურნალო
ექ. ბ. დ. ამაშუკელისა
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:
გ. მ. [illegible]—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილისი 606—914 ([illegible] 11—12 ს.
ო. ა. [illegible]—საბავშვო [illegible] ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—[illegible] და [illegible] ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. [illegible]—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. [illegible]—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. [illegible]—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. [illegible]—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აბანო და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: [illegible] ქუჩა № 6, [illegible] მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2278

[illegible] სამკურნალო
(დაარსებული 1880 წ.)
[illegible] ყოველ დღე ([illegible] კვირისა) [illegible]:
„606“ და „914“ 11—2 ს.
[illegible]—11—12 ს. ქირურგიული და [illegible]
[illegible] 10—12 [illegible] შინაგანი ავადმ.
[illegible] 12—1 ს.
[illegible] 12—1 ს.
[illegible] 3 მან. [illegible] კონსულტაციები [illegible]
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. [illegible].

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“, მარჯანის № 14, (კალოუბნის ქ. 14).